



საქართველოს
სასამართლოს გუშაგი
GEORGIAN COURT WATCH

საქართველოს სასამართლოს გუშაგი

ანგარიში რუსთავის
საქალაქო სასამართლოს
შესახებ



საქართველოს სასამართლოს გუშაგი



საქართველოს
სასამართლოს გუშაგი
GEORGIAN COURT WATCH

ანგარიში რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესახებ

ანგარიში გამოიცა ევროპის ფონდის დაფინანსებით, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევროპის ფონდის და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.



MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

DANIDA | INTERNATIONAL
DEVELOPMENT COOPERATION

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი:

ნაზი ჯანეზაშვილი, საქართველოს სასამართლოს გუშაგის დირექტორი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს სასამართლოს გუშაგის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ლუბლიანას ქ. N 13ბ, 0159 თბილისი, საქართველო

info@courtwatch.ge / [032 219 70 04](tel:0322197004)

www.courtwatch.ge

© 2023, საქართველოს სასამართლოს გუშაგი

შესავალი	4
1. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები.....	5
1.1 მოსამართლეთა დანიშვნა.....	5
1.2 სასამართლოს აპარატის მოხელეთა დანიშვნა	7
2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ეფექტიანობა და თავმჯდომარის როლი	9
2.1 თავმჯდომარის როლი ადმინისტრირების პროცესში	9
2.2 წლიური ანგარიშები.....	14
2.3 მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება	15
2.4 საქმეთა გაჭიანურება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და სასამართლოს თავმჯდომარის როლი	17
3. გამჭვირვალობის სტანდარტები რუსთავის საქალაქო სასამართლოში	20
3.1. სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია	20
3.3. საჯარო ინფორმაციის გაცემა	22
რეკომენდაციები	22
დანართი 1.....	23

„ევროპის ფონდის“ მხარდაჭერით, „საქართველოს სასამართლოს გუშაგმა“, პროექტის „აქტიური მოქალაქეების ჩართულობა უკეთესი სასამართლო სისტემისთვის“ ფარგლებში, ქუთაისსა და რუსთავში ჩამოაყალიბა სასამართლო გუშაგების ქსელი, რომელშიც გაწევრიანდნენ ადვოკატები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სტუდენტები და სასამართლო სისტემის გაუმჯობესებით დაინტერესებული აქტიური მოქალაქეები. ქსელის წევრებმა საქართველოს სასამართლოს გუშაგთან ერთად შეიმუშავეს ადვოკატირების გეგმა სასამართლოში სისტემაში არსებული ხარვეზების მიმართ. გარდა ამისა, ორგანიზაციამ, ქსელის წევრებთან ერთად, სასამართლო სისტემიდან სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა სასამართლო სისტემიდან. ანგარიში ეყრდნობა როგორც სასამართლოდან მოწოდებულ ინფორმაციას, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ გადაწყვეტილებებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულები იყვნენ ქსელის წევრები და მათთან კონსულტაციის შედეგად დაიგეგმა ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ანგარიში შედგება 3 ძირითადი თავისგან, რომელიც შეეხება: ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს; რუსთავის საქალაქო სასამართლოს ეფექტიანობას და თავმჯდომარის როლს; გამჭვირვალობის სტანდარტებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ანგარიშს ერთვის რეკომენდაციები, რომლებიც იდენტიფიცირებული პრობლემებიდან გამომდინარეობს.

1. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები

1.1 მოსამართლეთა დანიშვნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე და 28-ე მუხლების მიხედვით, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიასა და მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, მხოლოდ 2 ვაკანტური ადგილია; უფლებამოსილებას, საერთო ჯამში, 11 მოსამართლე ახორციელებს.¹

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეა მამია ფხაკაძე. მას თავმჯდომარედ მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი აქვს, სხვადასხვა დროს იყო გორის რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარე. რაც შეეხება რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნულია 2012 წლიდან.

მოსამართლე ნინო ონიანი თავდაპირველად 2016 წლის 12 თებერვალს გამწესდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.² მოსამართლეს მანამდე სისხლის სამართლის საქმეების განხილვის გამოცდილება არ ჰქონია, ვინაიდან ის 2005-2015 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში გამწესებიდან რამდენიმე თვეში კი კვლავ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაიყვანეს.⁴

სისხლის სამართლის კოლეგიის კიდევ ერთი მოსამართლე მადონა მაისურაძე 2012 წლიდან ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას რუსთავის საქალაქო სასამართლოში.⁵ თუმცა, მოსამართლემ რამდენჯერმე სცადა და მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, 2020⁶ და 2021 წლებში⁷ კონკურსის ფარგლებში დაენიშნათ თბილისის საქალაქო ან სააპელაციო სასამართლოში, თუმცა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დანიშვნაზე ყველა ჯერზე უარი უთხრა. კიდევ ერთი მოსამართლე, რომელიც ცდილობდა თბილისში გამწესებას, დიანა

¹ რუსთავის საქალაქო სასამართლო <https://bit.ly/3DpGAhr>

² 2016 წლის 12 თებერვალი <https://bit.ly/3WKfTLj>

³ მოსამართლე ნინო ონიანი <https://bit.ly/3jfVNuJ>

⁴ 2016 წლის 19 სექტემბერი <https://bit.ly/3kMqZC9>

⁵ 2012 წლის 7 სექტემბერი <https://bit.ly/3Hg3nxx>

⁶ 2020 წლის 18 ნოემბერი <https://bit.ly/3HIj5mD>

⁷ 2021 წლის 17 ივნისი <https://bit.ly/3HGehxO>

გოგატიშვილია, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო უარს ეუბნებოდა კონკურსის წესით გადაყვანაზე (დანიშვნაზე).⁸

მოსამართლე ეკატერინე პარტენიშვილიც 2012 წლიდან ახორციელებდა უფლებამოსილებას რუსთავის საქალაქო სასამართლოში.⁹ მან 2018 წელს მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 79⁴ მუხლის საფუძველზე, რომელიც საშუალებას აძლევდა 3 წლის ვადით თანამდებობაზე გამწესებულ მოსამართლეს, თუკი მისი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება 3-წელზე მეტი იყო, თანამდებობაზე უვადოდ გამწესებულიყო. მოსამართლე ეკატერინე პარტენიშვილს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უარი უთხრა უვადოდ დანიშვნაზე.¹⁰ მოგვიანებით, 2019 წელს, 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის გასვლის გამო მოსამართლის უფლებამოსილება შეუწყდა.¹¹

გასაკვირია, რომ გამოცდილ მოსამართლეს ეკატერინე პარტენიშვილს ჯერ დაუსაბუთებლად უთხრეს უარი უვადოდ გამწესებაზე, ხოლო შემდეგ, რამდენიმე თვეში მოსამართლე კონკურსის წესით მცხეთის რაიონულ სასამართლოში დანიშნეს უვადოდ.¹² იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეკატერინე პარტენიშვილი მცხეთის რაიონულ სასამართლოში დანიშნიდან 1 წლის შემდეგ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გადაიყვანა.¹³

რუსთავის საქალაქო სასამართლოდან მოსამართლის დაწინაურების ბოლოდროინდელი მაგალითია მოსამართლე ეკატერინე ყანჩელის შემთხვევა, რომელიც 2019 წლის ბოლოს კონკურსის გარეშე გაამწესეს (დააწინაურეს) თბილისის სააპელაციო სასამართლოში.¹⁴ ამ ცვლილების შედეგად, 2020 წლიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოს ყველაზე დატვირთულ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2 მოსამართლე დარჩა.¹⁵ ამასთან, ზემოთ ხსენებული მოსამართლე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სხვა მოსამართლეებთან შედარებით, რომელთაც რამდენჯერმე კონკურსის წესით სცადეს სხვა სასამართლოში გადასვლა, თუმცა მათი მცდელობა ყველა ჯერზე წარუმატებელი აღმოჩნდა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რა პრინციპით უთხრა უარი ზოგიერთ მოსამართლეს კონკურსის წესით სხვა სასამართლოში გამწესებაზე, ხოლო ეკატერინე ყანჩელი კი დააწინაურა, უცნობია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შესაბამისი ვაკანტური ადგილის წარმოშობის შემთხვევაში, თავად განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადების თარიღს და კანონი მას არ ზღუდავს ვალდებულებით წინასწარ გამოაცხადოს კონკურსი მოსალოდნელი ვაკანსიის

⁸ 2021 წლის 17 ივნისი <https://bit.ly/40fr1CK>

⁹ 2012 წლის 25 ოქტომბერი <https://bit.ly/40hqOPx>

¹⁰ 2018 წლის 22 თებერვალი <https://bit.ly/3j8SGoB>

¹¹ 2019 წლის 14 თებერვალი <https://bit.ly/3kJsPDQ>

¹² 2019 წლის 24 მაისი <https://bit.ly/3XPnOX>

¹³ 2019 წლის 20 ივნისი <https://bit.ly/3kUK5Gr>

¹⁴ 2019 წლის 22 ნოემბერი <https://bit.ly/3HkJiWU>

¹⁵ დეტალები იხილეთ: თავი 2, საქმეთა გაჭიანურება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და თავმჯდომარის როლი.

გამოჩენამდე. სასამართლო გუშაგის მიერ მომზადებული სტატიიდან¹⁶ იკვეთება, რომ 2017-2021 წლებში საერთო სასამართლოების სისტემაში მრავლად არის შეუვსებელი ვაკანსიები, რომლებზეც იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეებს არ ნიშნავს.¹⁷

იშვიათია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების სხვა სასამართლოში მივლინება ან კონკურსის გარეშე გადაყვანა, განსხვავებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოსგან, სადაც ასეთი შემთხვევები ხშირია, რაც შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს.

გამოიკვეთა, რომ ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მსგავსად, რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეები „დროებით“ ინიშნებოდნენ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში და მოკლე ვადაში ხდებოდა მათი გადაყვანა იმ კოლეგიაში, სადაც შემდეგ ხანგრძლივი პერიოდით ახორციელებენ სამოსამართლო უფლებამოსილებას.

კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევაა მოსამართლეთათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაუსაბუთებლად უარის თქმა სხვა სასამართლოში გადაყვანაზე.

1.2 სასამართლოს აპარატის მოხელეთა დანიშვნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 56-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს აპარატის თანამშრომლები საჯარო მოხელეები არიან. ამავე კანონის 49-ე მუხლის თანახმად, მოხელეთა შეფასების წესს ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ისევე როგორც განსაზღვრავს თითოეულ სასამართლოში მოხელეთა რაოდენობას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 16 იანვრის განკარგულების მიხედვით, დამტკიცებულია საშტატო ნუსხა და მოხელეთა ანაზღაურება.¹⁸ აღნიშნულ სასამართლოში აპარატის მოხელეთა რაოდენობა 46 შტატით განისაზღვრება.

აღსანიშნავია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გათვალისწინებულია 2 მწერალი თანამშემწის შტატი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. გარდა ამისა, სასამართლოში

¹⁶ რატომ არ ივსება მოსამართლეთა ათეულობით ვაკანტური ადგილები? <https://bit.ly/3HHwyeg>

¹⁷ იქვე.

¹⁸ 2022 წლის 18 იანვარი <https://bit.ly/3XYXZpg>

გათვალისწინებულია მაგისტრი მოხელის შტატი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მაგისტრი მოხელე განიხილავს საქმეებს:

- პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ;
- პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ;
- მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენის შესახებ;
- უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;
- მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ;
- მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ.

საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული საკონკურსო პირობების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსთავეის საქალაქო სასამართლოში მაგისტრი მოხელის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავდებოდა წლების მიხედვით.

მაგალითად, 2016 წელს¹⁹ მას მოეთხოვებოდა ბაკალავრის სამართალმცოდნეობის ხარისხი და 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება, დამატებით სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, როგორიცაა სასამართლო სისტემაში თანაშემწედ ან სხდომის მდივნად მუშაობა არანაკლებ 1-წლიანი ვადით. ასევე, სასურველი იყო ინგლისური ენის ცოდნა. 2019²⁰ და 2021²¹ წლებში გამოცხადებული კონკურსის დროს კი მაგისტრ მოხელეს იურისტად 5-წლიანი და ხელმძღვანელ თანამდებობაზე 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება მოეთხოვებოდა.

პირველ შემთხვევაში თანამდებობაზე დასანიშნად 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება მოხელისთვის, რომელიც საქმეებს იხილავს, ძალიან ცოტაა, ხოლო მეორე შემთხვევაში მოხელეს იურიდიული ფაქტების დასადგენად ხელმძღვანელ პოზიციაზე 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება არ ესაჭიროება.

¹⁹ ვაკანსია N39101 www.hr.gov.ge

²⁰ ვაკანსია N57412 www.hr.gov.ge

²¹ ვაკანსია N62968 www.hr.gov.ge

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ეფექტიანობა და თავმჯდომარის როლი

2.1 თავმჯდომარის როლი ადმინისტრირების პროცესში

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლი განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას და როლს. სასამართლოს თავმჯდომარე გვევლინება, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირი, ასევე მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს. კერძოდ, რაიონული/საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე:

- პირადად განიხილავს საქმეებს;
- ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს სასამართლოს მენეჯერის, სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის, სასამართლოს მანდატურის, მოსამართლის თანაშემწისა და სასამართლო სხდომის მდივნის თანამდებობაზე დანიშნის (სამსახურში მიღების) და თანამდებობიდან გათავისუფლების (სამსახურიდან დათხოვნის) შესახებ; სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებს უფარდებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;
- ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- ახორციელებს ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას;
- უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას; უფლებამოსილია სასამართლო სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და სხდომაზე დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სასამართლო სხდომის დარბაზში ცალკეული საგნების შეტანის აკრძალვა;

უფლებამოსილია, აღნიშნული დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა;

- სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში უფლებამოსილია წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებანი. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღნიშნულ საკითხზე განკარგულების მიღებისა და მისი გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით;
- ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

საერთო სასამართლოების სისტემა სრულად ცენტრალიზებულია. შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოწოდებული საბჭოსთვის გაგზავნილი ანგარიშებში მიმოხილული საკითხებიდან ირკვევა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეების როლი მხოლოდ საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგებით შემოიფარგლება. მაგალითად, მოსამართლეთა გადატვირთულობის პრობლემის არსებობის შემთხვევაში მან უნდა მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ხოლო შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანზეა დამოკიდებული, საკითხს განსახილველად დააყენებს თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე და მიიღებენ თუ არა შესაბამის გადაწყვეტილებას.

სასამართლოს თავმჯდომარემ ყველაზე უკეთ იცის, რა ზომები უნდა გატარდეს მის სასამართლოში გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად; თუმცა შეიძლება, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, თავმჯდომარის მიმართვის მიუხედავად, საკითხი არც კი განიხილოს.

გარდა ამისა, თავმჯდომარე დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ; არ შეუძლია დაგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც სასამართლოს ეფექტიანობას გააძლიერებდა და სასამართლოს გადატვირთულობას შეამცირებდა. თავმჯდომარე, ძირითადად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, რომელიც მის მოსაზრებას ან გაიზიარებს, ან არა.

„სასამართლოს გუშაგისთვის“ მიწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მამია ფხაკაძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობის ფარგლებში განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აწვდის. თუმცა პრობლემა ისაა, თუ რამდენად იღებს მხედველობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ინფორმაციას. რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ

იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან გაგზავნილი წერილებით²² ჩანს, რომ 2019-2021 წლებში რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ არაერთხელ მიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმეთა გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა საორგანიზაციო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებები:

- 25 ივნისი, 2021 წელი - იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესთავაზა, განეხილა საკანონმდებლო წინადადება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე სასამართლოში სტაჟირებასთან დაკავშირებით. წინადადება შეეხებოდა პროკურატურის მსგავსად სასამართლოში ანაზღაურებადი სტაჟირების წესის შემოღებას 6-თვიანი ვადით;
- 7 ივნისი, 2021 წელი - იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სთხოვა, ეშუამდგომლა საკანონმდებლო ორგანოსთან ნაფიც მსაჯულებად გამოძახებული, სოციალურად დაუცველი პირების თაობაზე. ვინაიდან ნაფიც მსაჯულებად გამოძახებულ პირებს მიღებული ხარჯების ანაზღაურება შემოსავალში ეთვლებათ, ეს სოციალური დახმარების მოხსნის საფუძველი ხდება. შესაბამისად, მათ დაბრკოლება ექმნებათ სამომავლოდ სოციალური დახმარების მიღებისას და აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება;
- 5 მარტი, 2021 წელი - იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოსაფხვრელად მიმართა. სისხლის სამართლის საქმეებზე არასათანადო ინფრასტრუქტურის გამო პროცესების დროულად დაწყება ვერ ხერხდება და, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია გადატვირთულია. თავმჯდომარემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმეთა განაწილების პროგრამაში ცვლილებების შეტანა სთხოვა, რათა მოსამართლე მაია შოშიაშვილს მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის (და არა მაგისტრატ სასამართლოში) საქმეები განეხილა;
- 9 ნოემბერი, 2020 წელი - სასამართლოს გადატვირთულობის გამო მოითხოვა მოხელეების გადანაწილება და შტატის დამატება;
- 10 მარტი, 2020 წელი - სისხლის სამართლის კოლეგიაში მოსამართლის არსებულ 4 შტატზე მე-5 შტატის დამატებას ითხოვდა, კოლეგიის გადატვირთულობის აღმოსაფხვრელად და საქმეებში საპატიმრო ვადების დაცვის უზრუნველსაყოფად. ასევე, ითხოვდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეთა შტატის 1-ით შემცირებას;

²² საჯარო ინფორმაცია მოწოდებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის #692/2748-03-ო წერილით <https://bit.ly/3WNj1Gg>

- 19 თებერვალი, 2020 წელი - მედიაში კონსულტანტის, მოსამართლის თანაშემწის და სხდომის მდივნის თითო შტატის დამატებას ითხოვდა;
- 16 მაისი, 2019 წელი - ითხოვდა მწერალი თანაშემწის 2 შტატის დამატებას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.
- გარდა ამისა, მაგისტრატ მოსამართლეს არ ჰყავდა თანაშემწე. ამიტომ თავმჯდომარის ინიციატივით მიზანშეწონილი იყო დამატებოდა თანაშემწის 1 შტატი ან სხდომის მდივანს გადასცემოდა თანაშემწის ფუნქციები და დაემატებინათ 1 სხდომის მდივანი; ამასთან, თავმჯდომარე აყენებდა წინადადებას, დამატებოდა მანდატურის 1 შტატი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დღის წესრიგებში 2020 წელს არცერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაგზავნილი წერილების საბჭოს სხდომაზე განხილვა.

2021 წლის 29 ივლისის სხდომაზე²³ განიხილეს მისი მიმართვა ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით, უცნობია მამია ფხაკაძე მოწვეული იქნა თუ არა სხდომაზე. სხდომის აუდიო ჩანაწერიდან არ ჩანს, რომ ის სხდომას ესწრებოდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით,²⁴ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გათვალისწინებული იყო მწერალი თანაშემწის 2 და მოსამართლის თანაშემწის 10 შტატი, ხოლო მდივნის 11 შტატი. მათ შორის, მაგისტრატი სასამართლოს სხდომის მდივნის - 2, სპეციალისტის - 1 და სხდომის მდივნის 2 შტატი.

საინტერესოა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილება შევიდა 2 თვეში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით²⁵ მწერალი თანაშემწის შტატი აღარ არის განსაზღვრული, ისევე როგორც შემცირებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნისა და თანაშემწეების შტატების ოდენობაც. მსგავსი სიტუაციაა მაგისტრატი სასამართლოში სხდომის მდივნის და მანდატურის შემთხვევაშიც, რომელთა რაოდენობა უფრო ნაკლებია.

მოგვიანებით, რამდენიმე თვეში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კვლავ გაზარდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში თანაშემწის შტატი - 10-მდე, ხოლო სხდომის მდივნის - 11-მდე.²⁶

²³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა <https://bit.ly/3wGzdi8>

²⁴ 2018 წლის 15 იანვარი <https://bit.ly/3WN9Gyj>

²⁵ 2018 წლის 19 მარტი <https://bit.ly/40bFU9l>

²⁶ 2018 წლის 17 სექტემბერი <https://bit.ly/3kUQK3u>

თუმცა არ დაუმატებიათ მწერალი თანაშემწის შტატი და არც მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომელთა შტატები გაზრდილა.

გაურკვეველია, რატომ შეიცვალა 2018 წლის იანვარში დამტკიცებული შტატების რაოდენობა, რატომ შემცირდა 2 თვეში, რა მიზნობრიობა არსებობდა ამისთვის, თუ უნდა დაებრუნებინათ მოხელეების მსგავსი რაოდენობა.

თავმჯდომარე კიდევ ერთი, 2020 წლის ინიციატივა შეეხებოდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობის 5-მდე გაზრდას, ხოლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კი 4-მდე შემცირებას. 2019 წლის მონაცემებით,²⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ნაშთად დარჩენილი ჰქონდა საქმეების დიდი ოდენობა და ასეთ დროს ამ კოლეგიაში მოსამართლეების ოდენობის შემცირების მოთხოვნა გაუგებარია. რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეც დასაბუთებაში მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მონაცემებს ასახელებს და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადატვირთულობას არც კი ახსენებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებიც, რომლებიც შტატების შემცირებასა თუ გაზრდას ეხება, დაუსაბუთებლადაა მიღებული, რადგან მათ არ ახლავს შესაბამისი ანალიზი მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის თაობაზე.

2018 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის 4 შტატი იყო გათვალისწინებული,²⁸ მათი რაოდენობა 2019 წელს გაიზარდა და გახდა 5,²⁹ ხოლო 2020 წელს აღნიშნულ კოლეგიაში კვლავ შემცირდა მოსამართლეთა რაოდენობა და 4-ით განისაზღვრა.³⁰ უცნობია, რამ განაპირობა ეს ცვლილებები, როდესაც რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია საკმაოდ დატვირთულ რეჟიმში მუშაობს.

რაც შეეხება თავმჯდომარის მოთხოვნას მედიაციის საკითხებზე კონსულტანტის შტატის დამატების თაობაზე, თავმჯდომარემ ორჯერ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. მეორედ მიმართვის შემდეგ, 2020 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით,³¹ რუსთავის საქალაქო სასამართლოში სასამართლო მედიაციის საკითხებში კონსულტანტის შტატი დაემატა.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, როგორც ჩანს, თავმჯდომარის ინიციატივა სასამართლოში სტაჟირებასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა, ვინაიდან ჯერ კიდევ 2017 წელს მიღებული წესია ძალაში, რომელიც საქართველოს იუსტიციის

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლო <https://bit.ly/3Hd3JVA>

²⁸ 2018 წლის 30 ივლისი <https://bit.ly/3RdNUTj>

²⁹ 2019 წლის 9 ივლისი <https://bit.ly/3RjihaE>

³⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება <https://bit.ly/3WM833R>

³¹ 2020 წლის 1 დეკემბერი <https://bit.ly/3RiUbgr>

უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლას ეხება. მიღების შემდეგ მასში რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა.³²

2.2 წლიური ანგარიშები

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ის გამოწვევისი შემთხვევაა, რომელიც სასამართლოს მიერ წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობაზე წლიურ ანგარიშებს ამზადებს.

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ანგარიშში მოცემული ინფორმაცია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით კონკურსის გამოცხადების თაობაზე, ასევე, მოხელეთა დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხების საჯაროობა, რაც მოცემულ სასამართლოში გამჭვირვალობის სტანდარტებს უფრო მეტად ამაღლებს.

თუმცა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს წლიური ანგარიშები, ძირითადად, მოიცავს ინფორმაციას წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ სასამართლოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

სამწუხაროდ, ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი მონაცემები მოსამართლეთა დატვირთულობის თაობაზე; ან ინფორმაცია საქმისწარმოების ვადების შესახებ, თუ საშუალოდ რა ვადაში იხილავს თითოეული მოსამართლე საქმეს. ანგარიში, მართალია, მოიცავს მოხელეთა დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ ინფორმაციას, თუმცა სასამართლოს მოხელეების წახალისების, მათი პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩართვისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ მონაცემები მასში მოცემული არ არის.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ცალკე მოგვაწოდა თავმჯდომარის მიმართვები, განკუთვნილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, რომელშიც მოცემულია წლის განმავლობაში მოსამართლეთა მიერ განხილული საქმეები და ახსნილია ის გარემოებები, თუ რატომ ვერ შეძლო კონკრეტულმა მოსამართლემ საქმეების დროული განხილვა. აღნიშნულის მიზეზად ხშირ შემთხვევაში დარბაზების არასაკმარისი ოდენობაა მითითებული³³ და

³² 2017 წლის 18 სექტემბერი <https://bit.ly/3jdWmoP>

³³ საჯარო ინფორმაცია მოწოდებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 აგვისტოს #1432/გ წერილით, რუსთავის და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის შესახებ 2021 წლის 1-ელი იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით ანგარიში <https://bit.ly/3WNe40e>

ზოგიერთ შემთხვევაში - მოსამართლეთა სიმცირე, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.³⁴

2.3 მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლით სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად მოსამართლეს (მისი თანხმობის შემთხვევაში) დაავალოს საქმის ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში განხილვა.

განსხვავებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოსგან, რუსთავის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სასამართლოს გუშაგს მიაწოდა თავმჯდომარის ბრძანებების ასლები მოსამართლეებისთვის სხვა კოლეგიაში საქმეების დავალების შესახებ.

ირკვევა, რომ 2018 წლის 12 მარტს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადატვირთულობის თავიდან აცილების მიზნით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს ნინო ონიანს დაევალა სამოქალაქო საქმეების განხილვა 2 თვის განმავლობაში, მისი დატვირთულობა სამოქალაქო კოლეგიაში განისაზღვრა 25%-ით.

ამ დროისათვის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უფლებამოსილებას ახორციელებდა 3 მოსამართლე. რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2017 წელს განსახილველად 3114 საქმე (692 საქმით მეტი, ვიდრე 2016 წელს) შევიდა, რის გამოც თითოეული მოსამართლის დატვირთულობა 1000 საქმით განისაზღვრებოდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება. მან, ნაცვლად იმისა, რომ დაემატებინა მოსამართლის შტატი ან გაეტარებინა სხვა ქმედითი ღონისძიებები, მოსამართლეთა დატვირთულობის თავიდან ასაცილებლად, 2018 წლის 18 იანვარს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1 მოსამართლე სხვა სასამართლოში გადაიყვანა.³⁵

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წერილით დგინდება, რომ მან 2018 წლის პირველ თებერვალს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადატვირთულობის პრობლემის გამო, მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და შესთავაზა მაგისტრატი მოსამართლის სამოქალაქო

³⁴ საჯარო ინფორმაცია მოწოდებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 აგვისტოს #1432/გ წერილით, რუსთავის და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის შესახებ 2017 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ანგარიში <https://bit.ly/3jg46qt>


³⁵ საჯარო ინფორმაცია მოწოდებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 აგვისტოს #1432/გ წერილით <https://bit.ly/3HgXXm0>; იხილეთ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება 12 მარტი, 2018 წელი #137/თ. <https://bit.ly/3XOWQ3I>

საქმეთა კოლეგიისთვის მიმაგრება, თუმცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს იმ პერიოდისთვის მისი წინადადება არ განუხილავს.

შესაბამისად, თავმჯდომარე იძულებული გახდა თავად მიეღო ზომები და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლისთვის ეთხოვა საქმეების განხილვა დროებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ისიც განსაზღვრული დატვირთულობით.

ამავე წელს, მოსამართლე ნინო ონიანის შემდეგ, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კიდევ ერთ მოსამართლეს ნატა თედეშვილს დაევალა საქმეების განხილვა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადატვირთულობის თავიდან აცილების მიზნით. 2018 წლის 6 ივნისის მდგომარეობით, მოსამართლეებს ეკატერინე ყანჩელს და დიანა გოგატიშვილს, თითოეულს ცალ-ცალკე, კვლავ 1000-ზე მეტი საქმე ჰქონდათ წარმოებაში. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უმოქმედობის ფონზე, სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება და მოსამართლეს დაავალა სხვა კოლეგიაში საქმეების განხილვა,³⁶ რასაც, როგორც ირკვევა, ხელშესახები შედეგები არ მოჰყოლია. 2018 წლის სამოქალაქო საქმეების განხილვის მაჩვენებლის მიხედვით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ საქმეების მხოლოდ 56% დაასრულა, მსგავსი მონაცემები იყო 2017 წელსაც - რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ამ პერიოდში საქმეების 52%-ის დასრულება მოახერხა.

სისხლის სამართლის საქმეები 2021



³⁶ საჯარო ინფორმაცია მოწოდებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 აგვისტოს #1432/გ წერილით, იხილეთ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება 6 ივნისი, 2018 წელი #248/თ <https://bit.ly/3wCJBaD>

2.4 საქმეთა გაჭიანურება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და სასამართლოს თავმჯდომარის როლი

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) 2020 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეების განხილვის ხანგრძლივობა შემდეგია:³⁷

კატეგორია	I ინსტანცია	II ინსტანცია	III ინსტანცია
სისხლის სამართლის საქმე	126 დღე	104 დღე	221 დღე
სამოქალაქო საქმე	433 დღე	211 დღე	297 დღე
ადმინისტრაციული საქმე	440 დღე	253 დღე	387 დღე

მოსამართლეების სიმცირის გამო საქმეების გაჭიანურება რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ჩვეულებრივი მოვლენას წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მიხედვით, საქმეები 2 თვის ვადაში, ხოლო განსაკუთრებული რთული კატეგორიის საქმეები 5 თვის ვადაში განიხილება. შესაბამისად, საქმეების განხილვის მაქსიმალური ვადა 5 თვეა.

სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განხილული საქმეებიდან 5 თვემდე ვადაში განხილული იყო საქმეების 8.9%, ხოლო დარჩენილი საქმეები - 5 თვეზე მეტი ვადით იყო წარმოებაში, თუმცა კონკრეტული ვადები დაზუსტებული არ არის.³⁸

მოსამართლეების არასაკმარისმა რაოდენობამ და არათანაბარმა დატვირთულობამ გამოიწვია ის, რომ საქმეების დიდი ნაწილი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ განიხილებოდა.

2017 წელს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2 მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას.³⁹ შესაბამისად, მოსამართლეების სიმცირე საქმეების სიმრავლე გამო

³⁷ <https://tabsoft.co/3wG7RZq>
³⁸ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 აგვისტოს #1432/გ წერილი, რუსთავის და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის შესახებ 2018 წლის 1-ელი იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით ანგარიში <https://bit.ly/40gcXcg>
³⁹ 2016 წლის 1 აგვისტო <https://bit.ly/3HGAQIY>

სასამართლოს გადატვირთულობას იწვევდა. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რომელშიც 2 მოსამართლე მუშაობდა, წლიურად 2168 საქმეს იხილავდა.⁴⁰ ამავე დროს, 2017 წელს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში 5 მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან არათანაბარ გადანაწილებასა და ეფექტიანობის თვალსაზრისით წარუმატებელ გადაწყვეტილებაზე მიანიშნებს.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 15 იანვრიდან გაზარდა მოსამართლეთა რაოდენობა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მესამე მოსამართლე დაამატა,⁴¹ რის შედეგადაც მოსამართლეები საქმეთა ნაკადს უნდა გამკლავებოდნენ. 2018 წლის ბოლოს, საბჭოსადმი სასამართლოს თავმჯდომარის ანგარიშის მიხედვით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებს, 2018 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, 2017 წლის მსგავსად 1000 საქმე ჰქონდათ წარმოებაში.⁴² ერთი შეხედვით, ეს შესაძლოა სასამართლოში შესული საქმეების სიმრავლით აიხსნას, მაგრამ ასე არ არის, რადგან 2017 წელს 3114 საქმე შევიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში,⁴³ ხოლო 2018 წელს - 3290 საქმე.⁴⁴

მიუხედავად, იმისა, რომ მოსამართლეთა რაოდენობა 1-ით გაიზარდა, განხილული საქმეების სიმრავლეში სხვაობა 2017-2018 წლებში არ ყოფილა და 1-ით მეტი მოსამართლის პირობებში, თითოეულ მათგანს მაინც, დაახლოებით, 1000 საქმე ჰქონდა განსახილველი.

2020 წლის განმავლობაში - 9 იანვარს,⁴⁵ 23 იანვარს⁴⁶ და 7 თებერვალს⁴⁷ - იუსტიციის უმაღლესი საბჭო იხილავდა სხვადასხვა სასამართლოში მოსამართლეების გადაყვანის საკითხს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამ პერიოდში რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეები არ გადაუყვანია, რათა საქმეთა დატვირთულობის პრობლემა აღმოფხვრილიყო. მხოლოდ იმავე წლის 17 მარტს მოახდინა საბჭომ საკითხის ინიცირება რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის თაობაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმეთა გაჭიანურების საკითხი აღნიშნულია თავად სასამართლო გუშაგის ქსელის წევრების მიერაც. მაგალითად, გამოსახლებაზე შეტანილია სარჩელი 2020 წლის 22 ივნისს და საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულია 2021 წლის 30 ივნისს.⁴⁸

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლო <https://bit.ly/3JqPSOm>

⁴¹ 2018 წლის 15 იანვარი <https://bit.ly/3Dpx8uq>

⁴² ვაკანსია N39101 www.hr.gov.ge

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლო <https://bit.ly/3HGB24G>

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო <https://bit.ly/3JpR30c>

⁴⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა <https://bit.ly/3fCLfUa>

⁴⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა <https://bit.ly/3C6CcTn>

⁴⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა <https://bit.ly/3fFiFlr>

⁴⁸ საქმე # 2-1033-20

იურიდიული პირების შემთხვევაში სარჩელი შეტანილია 2019 წლის 26 დეკემბერს და საქმე დღემდე განხილვაშია.⁴⁹

სამწუხაროდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ აწარმოებს აღრიცხვას მოსამართლეთა დატვირთულობის თაობაზე,⁵⁰ რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს სასამართლოებში არასწორ მენეჯმენტსა და კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობაზე.

⁴⁹ საქმე # 2-2579-19

⁵⁰ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პასუხი <https://bit.ly/3WIC8Bv>


3. გამჭვირვალობის სტანდარტები რუსთავის საქალაქო სასამართლოში

3.1 სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია

რუსთავის სასამართლოს ვებგვერდის სიახლეების განყოფილების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის სასამართლო მეტწილად ღიაობით და გამჭვირვალობით გამოირჩევა.

2013-2022 წლების განმავლობაში სიახლის სახით, საერთო ჯამში, 271 ინფორმაცია გამოქვეყნდა. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, სიახლეები სტაბილურად ქვეყნდება 2017 წლიდან, ხოლო 2013-2016 წლები ამ თვალსაზრისით საკმაოდ პასიური იყო. მეტიც, 2014 წელს სასამართლოს ვებგვერდზე სიახლეების სახით 2 ინფორმაცია, 2016 წელს კი მხოლოდ 1 ინფორმაცია გამოქვეყნდა.


სიახლეთა რაოდენობა



რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ამ კუთხითაც შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები, მათ შორის, ინფორმაციის მრავალფეროვნების კუთხით. სასამართლო აქვეყნებს როგორც

ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, ასევე სასამართლოს ფუნქციონირებასთან, ახალ პროექტებთან, საქმეებთან დაკავშირებულ და სხვა სახის ინფორმაციას. სასამართლო აქტიურად აქვეყნებს ინფორმაციას მედიაციის შესახებ, რაც მოსამართლეთა გადატვირთულობის გათვალისწინებით მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩაითვალოს, რადგან ინფორმაციის გავრცელებით სასამართლო ხელს უწყობს მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდას.

სიახლეების რაოდენობრივი განაწილება თემების მიხედვით



3.2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

მიმდინარე წლის ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მივმართეთ რუსთავის საქალაქო სასამართლოს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, უზენაეს სასამართლოს და ვითხოვდით რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- აპარატის მოხელეთა ფუნქციები, ხელფასი და რაოდენობა
- ბიუჯეტიდან კვალიფიკაციისთვის დახარჯული თანხები
- რაოდენობა, ვაკანსია, მივლინება და დაწინაურების თაობაზე ინფორმაცია
- წლის განმავლობაში შემოსული, განხილული და ნაშთად დარჩენილი საქმეების რაოდენობა
- ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქმეების განაწილება შემთხვევითი და პირდაპირი წესით
- მოსამართლის მიერ საპენსიო ასაკის გამო თანამდებობის დატოვების ან სხვა სასამართლოში დანიშვნის/მივლინების გამო მის განხილვაში მყოფი საქმეების სხვა მოსამართლეებისთვის გადანაწილების შემთხვევები
- ვადის დაცვით და დარღვევით განხილული საქმეები და მათი მიზეზები
- სხვა ინფორმაცია, რაც სასამართლო ადმინისტრირების საკითხებს შეეხებოდა.

საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ წერილებზე პასუხი უმეტესი უწყებიდან 10 დღის ვადაში არ მიგვიღია. ამ მხრივ გამონაკლისი იყო რუსთავის საქალაქო სასამართლო, რომელიც რეგულარულად გვაწვდიდა ინფორმაციას, როგორც შუალედური, ასევე საბოლოო სახით.

რეკომენდაციები

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- **მოსამართლის დანიშვნა:** მიზანშეწონილია მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში განიმარტოს შემდეგი საკითხი - თუ პირი რამდენჯერმე მონაწილეობდა კონკურსში და რამდენიმე ცდის შემდეგ გამწესდა თანამდებობაზე, რა იყო ამის მიზეზი და, წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, რატომ აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- **გადატვირთულობა:** რუსთავის საქალაქო სასამართლოში ვაკანტურ ადგილებზე დაინიშნონ მოსამართლეები, რათა საქმეთა გადატვირთულობა აღმოიფხვრას და მოქმედ მოსამართლეებს არ უწევდეთ სხვა კოლეგიაში საქმეების განხილვა;

- **შრომის ანაზღაურება:** გათანაბრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება;
- **სასამართლოს მოხელე:** დაზუსტდეს სასამართლოს მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- **სასამართლოს საშტატო ნუსხა და აპარატის სტრუქტურა:** დასაბუთდეს გადაწყვეტილება სასამართლოს საშტატო ნუსხისა და აპარატის სტრუქტურის ცვლილებების შესახებ.
- **ყოველწლიური ანგარიშები;** საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სხდომაზე მოისმინოს სასამართლოს თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიში.

საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით დადგინდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, გამოაცხადოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი (რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში) წინასწარ, შესაბამისი ვაკანტური ადგილის წარმოშობამდე.

2018 წელი

მოსამართლე	განხილულ საქმეთა ოდენობა	განსახილველ საქმეთა ოდენობა
სისხლის სამართლის საქმეები		
მამია ფხაკაძე	63	2
ქეთინო ლუაშვილი	212	33+3წ/ს
მადონა მაისურაძე	219	26+3წ/ს
ეკატერინე პარტენიშვილი	234	40+5წ/ს
ირინე ტყემელაშვილი	118	
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები		
ნინო ონიანი	188	53
ნატა თედეშვილი	181	70
ირინე ტყემელაშვილი	14	
ეკატერინე პარტენიშვილი	4	4
სამოქალაქო სამართლის საქმეები		
მაია გიგაური	52	
დიანა გოგატიშვილი	1044	987
სალომე გველესიანი	193	10
ნინო ონიანი	104	5
ეკატერინე პარტენიშვილი	14	3
მაია შოშიაშვილი	275	417
ნატა თედეშვილი	44	12
ეკატერინე ყანჩელი	1087	1080
ირინე ტყემელაშვილი	304	279

2019 წელი

მოსამართლე	განხილულ საქმეთა ოდენობა	განსახილველ საქმეთა რაოდენობა
სისხლის სამართლის საქმეები		
მამია ფხაკაძე	114	2
ქეთინო ლუაშვილი	307	70
მადონა მაისურაძე	290	52
ეკატერინე პარტენიშვილი	157	51
ირინე ტყემელაშვილი	141	
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები		

ნინო ონიანი	202	51
ნატა თედეშვილი	210	60
ირინე ტყემელაშვილი	25	1
სამოქალაქო სამართლის საქმეები		
დიანა გოგატიშვილი	800	1230
სალომე გველესიანი	29	
ნატა თედეშვილი	8	2
მამუკა ნოზაძე	296	1113
ნინო ონიანი	4	1
ეკატერინე პარტენიშვილი	12	
მაია შოშიაშვილი	695	
მაია	15	10
შოშიაშვილი(მაგისტრი)		
ეკატერინე ყანჩელი	639	
ირინე ტყემელაშვილი	397	454

2020 წელი

მოსამართლე	განხილულ საქმეთა ოდენობა	განსახილველ საქმეთა რაოდენობა
სისხლის სამართლის საქმეები		
მამია ფხაკაძე	48	9 (8+1 წ/ს)
ქეთინო ლუაშვილი	183	96 (90+6 წ/ს)
მადონა მაისურაძე	154	65 (60+5 წ/ს)
ეკატერინე პარტენიშვილი	172	66 (60+5 წ/ს)
ირინე ტყემელაშვილი	66	
მაია შოშიაშვილი	1	
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები		
ნინო ონიანი	166	45
ნატა თედეშვილი	162	60
ირინე ტყემელაშვილი	23	2
მაია შოშიაშვილი	3	
სამოქალაქო სამართლის საქმეები		
დიანა გოგატიშვილი	698	1217
ნატა თედეშვილი	1	1
რომან კუპატაძე	107	450
მამუკა ნოზაძე	696	1100
ნინო ონიანი	1	
პაატა ფხალაძე	100	258

ირინა ტყემელაშვილი	505	464
მაია შოშიაშვილი	6	24
მაია შოშიაშვილი(მაგისტრი)	74	

2021 წელი

მოსამართლე	განხილულ საქმეთა ოდელობა	განსახილველ საქმეთა რაოდენობა
სისხლის სამართლის საქმეები		
მამია ფხაკაძე	62	15 (14+1 წ/ს)
ქეთინო ლუაშვილი	185	78 (74+4 წ/ს)
მადონა მაისურაძე	145	77 (71+6 წ/ს)
ეკატერინე პარტენიშვილი	154	96 (91+5 წ/ს)
ირინე ტყემელაშვილი	45	
მაია შოშიაშვილი	105	34 (31+3 წ/ს)
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები		
ნატა თედეშვილი	180	59
ნინო ონიანი	141	55
ირინე ტყემელაშვილი	27	1
მაია შოშიაშვილი	3	1
სამოქალაქო სამართლის საქმეები		
დინა გოგატიშვილი	712	887
ნატა თედეშვილი		1
რომან კუპატაძე	648	849
მამუკა ნოზაძე	721	760
პაატა ფხალაძე	902	411
ირინა ტყემელაშვილი	501	470
მაია შოშიაშვილი	106	106
სალომე გველესიანი	27	